




საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების მონაწილეობა მნიშვნელოვანია არა მარტო მათი ფინანსური დამოუკიდებლობისთვის, არამედ იგი მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობასაც განსაზღვრავს. მართალია, დასაქმების თემას საქართველოში ყველაზე ხშირად განიხილავენ¹, მაგრამ შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ახალგაზრდების დასაქმებას. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ბიულეტენში განიხილება საქართველოს შრომის ბაზარი და მისი ინდიკატორები 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში² 2017-2021 წლების პერიოდში.

ახალგაზრდების წილი საქართველოს შრომის ბაზრის მაჩვენებლებში




შრომის ბაზარზე ახალგაზრდების ჩართულობის უკეთ წარმოსაჩენად უნდა გავანალიზოთ ახალგაზრდების წილი საქართველოს ზრდასრულ (15+) მოსახლეობაში, სამუშაო ძალაში და, ასევე, დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობაში. აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში ახალგაზრდების წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში სტაბილური იყო (13-14%), თუმცა მათი წილი საქართველოს სამუშაო ძალაში სტაბილურად მცირდებოდა.

გაანალიზებულ პერიოდში ახალგაზრდების წილი სამუშაო ძალაში ყველაზე დაბალი იყო 2021 წელს (8.5%), აღნიშნული 4.1 პროცენტული პუნქტით (პპ) ჩამოუვარდება 2017 წლის მაჩვენებელს.

2017-2019 წლებში ახალგაზრდების წილი სტაბილური იყო 15+ ასაკის მოსახლეობის იმ კატეგორიაში, რომელიც სამუშაო ძალის გარეთ იმყოფებოდა. თუმცა ეს მაჩვენებელი COVID-19-ის კრიზისის შემდეგ საგრძობლად გაიზარდა (2019 წელს 16.2%-ს, ხოლო 2021 წელს 18.4%-ს მიაღწია). შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ COVID-19-მა შესამჩნევად შეამცირა ახალგაზრდების წილი დასაქმებულებს შორის (2019-2021 წლებში 9.4%-დან 6.1%-მდე შემცირდა).


ახალგაზრდების დასაქმების ტენდენციებზე დასაკვირვებლად უნდა გავანალიზოთ შრომის ბაზრის მაჩვენებლები 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ 2017-2019 წლებში უმუშევრობა საქართველოში 4 პპ-ით შემცირდა³, უმუშევრობა ახალგაზრდებში სტაბილურად იზრდებოდა. ასევე, წინა წლებთან შედარებით, ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე მკვეთრად გაიზარდა 2020 წელს (+11 პპ) და 2021 წელს (+4 პპ). ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის სწრაფი ზრდა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდები არ არიან გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კადრები, რაც მათ შედარებით დაუცველს ხდის პანდემიასა და მის გამო გამომწვეული რეგულაციების მიმართ. ამასთანავე, ახალგაზრდები, ზრდასრულებთან შედარებით, როგორც წესი, უფრო ხშირად იცვლიან სამუშაო ადგილებს. ეს, შესაძლოა, დამატებითი მიზეზი იყოს ახალგაზრდების უმუშევრობის შედარებით მაღალი დონისა.

ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები საქართველოში



გაანალიზებულ პერიოდში უმუშევრობის დონის ზრდასთან ერთად შემცირდა შრომის ბაზარზე აქტიური ახალგაზრდების რაოდენობაც. უფრო კონკრეტულად, ეს მაჩვენებელი 2017 წელს იყო 207,312, ხოლო 2021 წელს - 129,718 (შემცირდა 37.4%-ით). გარდა ამისა, ახალგაზრდების დასაქმების დონე 2021 წელს 18%-ამდე შემცირდა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 18 პპ-ით ჩამოუვარდება. შეიძლება ითქვას, რომ 2017-2019 წლებში ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები უარესდებოდა, ხოლო, 2020-2021 წლებში COVID-19 პანდემია მაჩვენებლების გაუარესების დამატებითი ფაქტორი გახდა.

ახალგაზრდების დასაქმება და განათლება საქართველოში



მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დიდმა რაოდენობამ დატოვა შრომის ბაზარი, მათმა უმრავლესობამ სწავლა გააგრძელა. შესაბამისად, გაიზარდა იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც სწავლობენ, მაგრამ არ მუშაობენ (გაანალიზებულ პერიოდში ამ კატეგორიის ახალგაზრდების წილი იზრდებოდა და 2017-2021 წლებში 43.7%-დან 53.7%-მდე გაიზარდა). აღსანიშნავია, რომ მაჩვენებლის ზრდა ყველაზე შესამჩნევი პანდემიის პერიოდში (2020) იყო - 3 პპ. თუმცა პანდემიასთან ერთად მაჩვენებლის ზრდა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს 2020 წელს საქსტატის მიერ სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიის შეცვლით.⁴


ამავდროულად, გაანალიზებულ პერიოდში, მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნება იმ ახალგაზრდების კატეგორიაში, რომლებიც მუშაობენ და არ სწავლობენ - ამ კატეგორიის წილი 2021 წელს 13.8% იყო, რაც 2017 წელთან შედარებით, 9.4 პპ-ით დაბალი მაჩვენებელია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2017-2021 წლებში, საკუთარი არჩევანით თუ საჭიროებიდან გამომდინარე, ახალგაზრდებისთვის მუშაობაზე პრიორიტეტული სწავლა იყო.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არ მუშაობენ და არ სწავლობენ 2.1 პპ-ით გაიზარდა და 2021 წელს 26.8% შეადგინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ყოველი მეოთხე ახალგაზრდა არც მუშაობს და არც სწავლობს.

2020 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში 15-24 ასაკობრივი ჯგუფში NEET (ის ჯგუფები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს) მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მეორე ადგილზე იყო და მხოლოდ სომხეთზე უკეთესი შედეგი ჰქონდა. მეტიც, 2020 წელს ეს მაჩვენებელი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე სამჯერ მაღალი იყო.⁵

რედაგირ 15-24 ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდები, როგორც წესი, სწავლობენ, ნახევარ განაკვეთზე მათი დასაქმების წილმა, შესაძლოა, წარმოაჩინოს, თუ რამდენად ქმნის საქართველოს შრომის ბაზარი ახალგაზრდებისთვის დასაქმების შესაძლებლობებს. 2017-2021 წლებში დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის სრულ განაკვეთზე დასაქმებული ახალგაზრდების წილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული ახალგაზრდების წილს. აღსანიშნავია, რომ 2017-2019 წლებში ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული ახალგაზრდების წილი საშუალოდ იყო 16.6%, ხოლო 2020-2021 წლებში - 9.8%. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2020 წელს საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო 2017-2019 წლების მონაცემები არაა შესადარი 2020-2021 წლების მონაცემებთან.

სრული და ნახევარგანაკვეთიანი დასაქმება ახალგაზრდებში



2021 წელს საქართველოში ახალგაზრდებს შორის ნახევარ განაკვეთზე დასაქმების მაჩვენებელი ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელთან (31.9%) შედარებით საშუალო ნაკლები იყო. ამასთანავე, 2021 წელს ევროკავშირის ქვეყნებში 15-24 ასაკობრივ ჯგუფში დასაქმების მაჩვენებელი იყო 32.7%⁵, ხოლო საქართველოში - 18%. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, საქართველოში ახალგაზრდების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ შრომის ბაზარზე არ იქმნება შესაბამისი რაოდენობით ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილები. აგრეთვე, ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილებზე, შესაძლოა, იყოს არადაამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობები და, შესაბამისად, ასეთ სამსახურებში ახალგაზრდებს არ უღირთ დასაქმება.

საქართველოში ახალგაზრდების დასაქმების დინამიკის უკეთ წარმოსაჩვენად მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ, თუ რომელ ეკონომიკურ სექტორებში და რა პოზიციებზე არიან ისინი დასაქმებულები.

სექტორი	2017	2018	2019	2020	2021
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	44.9	36.2	31.0	27.9	15.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	12.7	16.3	17.8	19.4	21.7
მრეწველობა	6.3	6.9	6.5	8.3	9.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	4.9	5.2	7.6	6.1	6.2
მშენებლობა	3.4	5.2	5.3	6.8	6.5
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	5.3	4.4	5.5	3.1	8.7
საფინანსო და სადამფინანსო საქმიანობები	5.6	4.5	4.1	4.1	6.1
სხვა	16.9	21.4	22.2	24.3	25.4

წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

2017-2019 წლებში, 15-24 ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების უმეტესობა (საშუალოდ 37.4%) „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში“ იყო დასაქმებული, რასაც მოჰყვებოდა „საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“, „მრეწველობა“ და „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“ (საშუალოდ 15.6%, 6.6% და 5.9% შესაბამისად).

ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით⁷, 2020 წელს, ახალგაზრდების წილი, რომლებიც „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში“ მუშაობდნენ კვლავ ლიდერობას ინარჩუნებდა, თუმცა 2021 წელს ყველაზე მეტი ახალგაზრდა (21.7%) „საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“ იყო დასაქმებული. ასევე, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც „სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალურ უსაფრთხოებაში“ მუშაობდნენ (+5.6 პპ).

სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით, 15-24 ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების დასაქმების ანალიზმა აჩვენა, რომ 2017-2019 წლებში ახალგაზრდების უმეტესობა სოფლის მეურნეობაში ან მასთან დაკავშირებულ სფეროებში მუშაობდა (საშუალოდ 35.5%), რასაც მოჰყვებოდა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროები (საშუალოდ 15.7%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (საშუალოდ 10.6%).

პოზიცია	2017	2018	2019	2020	2021
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	42.5	34.2	29.9	26.1	13.6
მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	13.2	15.6	18.4	24.6	25.9
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	9.3	12.0	10.5	10.5	12.9
ოფისის დამხმარე პერსონალი	8.8	11.3	11.3	6.4	11.3
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	5.2	8.6	8.0	9.2	10
სპეციალისტი-პროფესიონალები	6.8	4.3	7.8	7.3	12.7
სხვა	14.3	14	14.2	15.8	13.6

წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

მეთოდოლოგიის ცვლილების შემდეგ⁷, 2020-2021 წლებში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების პოზიციებზე დასაქმებული ახალგაზრდების წილი 26.1%-იდან 13.6%-მდე შემცირდა.

ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ 2021 წელს, მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული ახალგაზრდების წილმა გადააჭარბა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების პოზიციებზე დასაქმებული ახალგაზრდების წილს. ამასთანავე, წამყვანი სამუშაო პოზიციების წილი გაიზარდა, თუმცა სხვა დანარჩენი პოზიციების წილი 15.8%-დან 13.6%-მდე შემცირდა.

საბოლოო ჯამში, 2017-2021 წლებში ახალგაზრდების ჩართულობა შრომის ბაზარზე დაბალი აქტივობით ხასიათდებოდა და დროთა განმავლობაში უარესდებოდა. ამ პერიოდში ახალგაზრდების სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე შემცირდა, ხოლო უმუშევრობის დონე გაიზარდა. 2017-2019 წლებში შრომის ბაზარზე ახალგაზრდების არასახარბიელო მდგომარეობა 2020 წელს COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გააუარესა. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ 15-24 ასაკობრივ ჯგუფში NEET (ის ჯგუფები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულნი და არ გადიან ტრენინგებს) მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მეორეა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, ხოლო ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებელს რამდენჯერმე აღემატება. შრომის ბაზარზე ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს სამუშაო ძალაში დამკვიდრების სირთულით და ნახევარ განაკვეთზე დასაქმების დაბალი შესაძლებლობებით. აგრეთვე, როგორც ცნობილია, სმირ შემთხვევაში ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული სამსახურები დაბალანაზღაურებადი და არადაამაკმაყოფილებელი პირობებით გამოირჩევა, რაც ხელს უშლის ახალგაზრდებს, აქტიურად ჩაერთონ შრომის ბაზარზე.

1. <https://www.rti.gov.ge/publications/results-august-2020-opinion-polls-georgia>.
 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სტატისტიკური მიწვევების, განსაზღვრავს 15 დან 24 წლამდე ასაკის პირებს, როგორც ახალგაზრდებს. <https://www.un.org/development/desa/policy/youth/>.
 3. <https://www.pmcresearch.org/publications/files/7161000b2e2890.pdf>.
 4. გამოწვევები სოფლის მეურნეობის სფეროში. საკუთრივ მონაწილეობის მიხედვით დროებითი დასაქმების დონე. <https://www.geostat.ge/>.
 5. <https://statistik.bvl.gv.at/eng/indicators/youth>.
 6. 2020 წელს საქსტატის სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო 2017-2019 წლის მონაცემები არაა შესადარი 2020-2021 წლის მონაცემებთან.
 7. http://spss.eurostat.ec.europa.eu/#!/show.do?dataset=hsa_eppgac.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2019	2020	2021	2022 I	2022 II	2022 III
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7*	15 888.1*	18 700.1*	4 610.4*	5 999.7*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2*	4 274.6*	5 015.3*	1 249.9*	1 626.5*	-
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.2%*	10.4*	14.9*	7.1*	-
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	13.2%	13%	12.7%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 335.8*	572.0	1 152.8*	568.2*	351.8*	-
უმუშევრობის დონე(%)	17.6%	18.5%	20.6%	19.4%	18.1%	15.6%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	7 956	7 751	7 572	7 154
სიღარიბის დონე (ფარდობით)	20.1%	19.7%	18.9	-	-	-

*წინასწარი მონაცემები



ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- o პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- o რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებას ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
კვლევითი ასისტენტი
sh.matcharashvili@pmcginternational.com